შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზოდი პლიუსი”

სავაჭრო პოლიტიკა და მომხმარებლის უფლებების დაცვის წესები

შპს „ზოდი პლიუსის” სახელით

დამტკიცებულია



დირექტორი, ზაურ გაბაიძე

01 ივნისი, 2022 წელი
თბილისი, საქართველო

სავაჭრო პოლიტიკა და მომხმარებლის უფლებების დაცვის წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს „ზოდი პლიუსის“ (შემდგომში – „კომპანია“) სავაჭრო პოლიტიკას, მომხმარებლებთან ურთიერთობის წესებს, საქონლის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევის პირობებს, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს.

1.2. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს კანონის „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, შესაბამისად.

1.3. კომპანიის საქმიანობა მოიცავს:

ა) ქვის, კარის, ლამინატის, კერამიკისა და აბაზანის ავეჯის პროდუქციის რეალიზაციას;

ბ) ქვის ჭრის, დამუშავების, მიწოდებისა და მონტაჟის მომსახურებას;

გ) კარის გადაკეთების, მიწოდებისა და მონტაჟის მომსახურებას;

დ) ზემოაღნიშნულ პროდუქციასთან და მომსახურებებთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას.

1.4. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება საცალო ვაჭრობის ფორმით, კომპანიის ფიზიკურ სავაჭრო ობიექტებსა და ფილიალებში.

1.5. კომპანია არ ახორციელებს ონლაინ გაყიდვებს. პროდუქციის შეძენა და მომსახურების შეკვეთა ხორციელდება კომპანიის სავაჭრო ობიექტებში, მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციისა და შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

1.6. წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც კომპანიასთან სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებენ საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების შეძენის მიზნით.

1.7. თუ მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ადგენს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულზე განსხვავებულ ან უფრო ხელსაყრელ პირობებს მომხმარებლისთვის, უპირატესობა ენიჭება კანონის მოთხოვნებს.

მუხლი 2. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება

2.1. კომპანია ვალდებულია მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე მიაწოდოს სრული, უტყუარი, გასაგები და სახელმწიფო ენაზე წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების შესახებ (თუ ეს ინფორმაცია თავისთავად ცხადი არ არის):

ა) საქონლის დასახელების, მწარმოებლისა და წარმოშობის შესახებ, თუ აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია;

ბ) საქონლის ძირითადი მახასიათებლების, ზომების, მასალის, ფერის, ხარისხისა და გამოყენების თავისებურებების შესახებ;

გ) მომსახურების სახეობის, მოცულობისა და შესრულების პირობების შესახებ;

დ) საქონლისა და მომსახურების ღირებულების შესახებ;

ე) დამატებითი ხარჯების, მათ შორის ტრანსპორტირების, აზომვის, ჭრის, დამუშავებისა და მონტაჟის ღირებულების შესახებ;

ვ) ანგარიშსწორებისა და მიწოდების პირობების შესახებ;

ზ) შეკვეთის შესრულების სავარაუდო ან შეთანხმებული ვადების შესახებ;

თ) გარანტიის შესახებ (ასეთი არსებობის შემთხვევაში);

ი) „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

2.3. ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდება ზეპირად, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით, მათ შორის შეკვეთის დოკუმენტის, ხელშეკრულების, ინვოისის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის საშუალებით.

2.4. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი განმარტებების მიწოდება საქონლისა და მომსახურების მახასიათებლებთან დაკავშირებით.

2.5. დაუშვებელია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის ხარისხის, წარმოშობის, მახასიათებლების, ფასის ან მომსახურების შედეგის შესახებ.

მუხლი 3. საქონლის/მომსახურების რეალიზაციის პირობები

3.1. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ქვის, კარის, ლამინატის, კერამიკისა და აბაზანის ავეჯის პროდუქციას კომპანიის სავაჭრო ობიექტებში არსებული ასორტიმენტის ფარგლებში.

3.2. საქონლის შეძენამდე მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროდუქციის ნიმუშებს, ვიზუალურ მახასიათებლებს, ზომებსა და სხვა არსებით მონაცემებს.

3.3. მომხმარებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია პროდუქციის გამოყენების, მოვლის, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობების შესახებ.

3.4. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი და მომხმარებლისთვის წინასწარ ცნობილი ფასებით.

3.5. საქონლის ღირებულება მოიცავს ყველა კანონით გათვალისწინებულ გადასახადს. დამატებითი მომსახურების, ტრანსპორტირების ან სხვა ხარჯის არსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ხელშეკრულების დადებამდე.

3.6. პროდუქციის შეძენისას მომხმარებელს გადაეცემა შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.7. საქონლის ფაქტობრივი გადაცემა და მიღება დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით ან სხვა სათანადო მტკიცებულებით.

3.8. შესახებ ანგარიშსწორებისა და შეთანხმების საფუძველზე, კომპანია ვალდებულია მოახდინოს საქონლის ტრანსპორტირება მომხმარებლის მითითებულ მისამართზე, რაც არ

გულისხმობს საქონლის ჩამოტვირთვის, გადატვირთვის ან სართულებზე განთავსების/ატანის ვალდებულებას. მომხმარებელი უფლებამოსილია საქონელი გაიტანოს საკუთარი ძალებითა და ხარჯებით კომპანიის ფილიალებიდან ან საწყობებიდან.

3.9. ქვის პროდუქცია შეიძლება ახასიათებდეს:

ა) ფერისა და ტონალობის ბუნებრივი განსხვავებები;

ბ) ტექსტურისა და ძარღვების ინდივიდუალური განლაგება;

გ) ბუნებრივი ჩანართები და სტრუქტურული თავისებურებები;

დ) სხვადასხვა ფილას შორის ვიზუალური განსხვავებები.

3.10. აღნიშნული თავისებურებები თავისთავად არ წარმოადგენს საქონლის ნაკლს, თუ ისინი შეესაბამება კონკრეტული ქვის სახეობის მახასიათებლებს.

3.11. მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ზომების, ნახაზის ან ესკიზის შემთხვევაში, აღნიშნული ზომების, ნახაზისა და ესკიზის სისწორეზე პასუხისმგებელია მომხმარებელი. კომპანია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ზომების, ნახაზის ან ესკიზის სისწორეზე. არასწორად წარმოდგენილი ზომებით, ნახაზით ან ესკიზით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

3.12. თუ აზომვას ან მონტაჟს კომპანია თავად ახორციელებს, პასუხისმგებელია მის მიერ დაშვებული შეცდომით გამოწვეულ შეუსაბამობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.13. კომპანიის მიერ ჭრის, დამუშავების, გადაკეთების და მონტაჟის არასწორად შესრულება, თუ იგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილია, განიხილება მომსახურების ნაკლოვან შესრულებად.

3.14. კომპანია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ დაქირავებული ან სხვა მესამე პირის მიერ შესრულებულ სამონტაჟო ან სხვა სახის სამუშაოზე. ასეთ შემთხვევაში, არასწორი/არასრული სამონტაჟო ან სხვა სახის სამუშაოთი გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

3.15. გაყიდული საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემისას მასზე გადადის საქონლის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

3.16. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის მომხმარებლისთვის გაგზავნა, იმ მომენტიდან, როდესაც მომხმარებელი ან მის მიერ უფლებამოსილი მესამე პირი (გარდა გადამზიდავისა) საქონელზე ფაქტობრივ მფლობელობას მოიპოვებს, საქონლის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი მომხმარებელზე გადადის.

3.17. თუ გაყიდულ საქონელს მომხმარებლის დავალებით გადამზიდავი აგზავნის, საქონლის გადამზიდავისთვის მიწოდების მომენტიდან საქონლის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი მომხმარებელზე გადადის.

მუხლი 4. ფასები და ანგარიშსწორება

4.1. კომპანიის მიერ შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება, მომხმარებელს შეუძლია გაყიდვების კონსულტანტისგან, საქონელზე

დატანილი სტიკერიდან, სხვადასხვა სოციალური ქსელისა და ცხელი ხაზის (+995 322 35 80 00) მეშვეობით ან კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდიდან www.zodi.ge.

4.2. ქვის პროდუქციის შემთხვევაში ფასი შეიძლება განისაზღვროს კვადრატული მეტრის, გრძივი მეტრის, მეტრი, ცალის ან სხვა შესაბამისი საზომი ერთეულის მიხედვით.

4.3. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სამუშაოს მოცულობის, გამოსაყენებელი მასალის, ტექნიკური სირთულისა და სხვა წინასწარ შეთანხმებული გარემოებების გათვალისწინებით.

4.4. თუ მომსახურების საბოლოო ღირებულების წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მომხმარებელს მიეწოდება ფასის გამოთვლის წესი და შესაძლო დამატებითი ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

4.5. ანგარიშსწორება ხორციელდება კომპანიის მიერ დაშვებული გადახდის საშუალებებით, მათ შორის ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

მუხლი 5. საქონლის მიწოდება და მომსახურების შესრულება

5.1. საქონლის მიწოდება და მომსახურების შესრულება ხორციელდება მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.

5.2. თუ ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად.

5.3. კომპანია ვალდებულია მომხმარებელს წინასწარ აცნობოს მიწოდების ან მომსახურების შესრულების პირობებისა და შესაძლო შეფერხებების შესახებ.

5.4. საქონლის გადაცემისას მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს შეამოწმოს მისი რაოდენობა, გარეგნული მდგომარეობა და შეკვეთასთან შესაბამისობა.

მუხლი 6. საქონლის დაბრუნება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

6.1. ფიზიკურ სავაჭრო ობიექტში დადებული ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულების/შეთანხმების შემთხვევაში, სათანადო ხარისხის საქონლის დაბრუნება ან შეცვლა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მომხმარებელმა გადაიფიქრა შეძენა, დაუშვებელია. ეს წესი არ ზღუდავს მომხმარებლის უფლებას, მოითხოვოს ნაკლიანი საქონლის შეკეთება, შეცვლა, ფასის შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

6.2. კომპანია არ ახორციელებს უნაკლო საქონლის უკან დაბრუნებას ან შეცვლას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

6.3. კომპანიის მიერ ნებაყოფლობით დაწესებული დამატებითი დაბრუნების ან შეცვლის პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომხმარებელს უნდა ეცნობოს წინასწარ და არ უნდა ზღუდავდეს მის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 7. ნაკლიანი საქონელი და მომხმარებლის კანონისმიერი უფლებები

7.1. თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

7.2. საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

7.3. საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში, ისე, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისთვისაც მან ეს საქონელი შეიძინა.

7.4. საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

7.5. მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია;

ბ) მოვაჭრემ საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა;

გ) მოვაჭრის მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.

7.6. მომხმარებელს უფლება აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.7. მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.

7.8. მოხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს ზემოთ ხსენებული უფლებებით, თუ საქონლის ნაკლი საქონლის მისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში აღმოჩნდა.

7.9. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

7.10. ზემოთ ხსენებული წესების მოქმედება არ ვრცელდება მეორეული საქონლის ნასყიდობასა და კომპანიის ე. წ. „აუთლეტ" მაღაზიაში (სადაც წარმოდგენილია ნაკლიანი, დაბრუნებული ან სალიკვიდაციო საქონელი დიდი ფასდაკლებით) შეძენილ საქონელზე. ასეთი საქონლის ნასყიდობისას, მოვაჭრის პასუხისმგებლობა მხარეთა შორის ინდივიდუალური შეთანხმების საგანია.

7.11. თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ან თავისთავად ცხადი იყო საქონლის კონკრეტული ნაკლის შესახებ, აღნიშნული არ განიხილება საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობად, კანონით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში.

7.12. ზემოთ ხსენებული კანონისმიერი უფლებები არ მოქმედებს თუ:

ა) ნაკლი გამოწვეულია საქონელზე არასწორი ზემოქმედებით ან საქონლის მექანიკური დაზიანებით;

ბ) ნაკლი გამოწვეულია საქონლის ექსპლოატაციის წესების დაუცველობით, არასწორი ექსპლოატაციით ან საქონლის არასწორი დანიშნულებით გამოყენებით;

გ) ნაკლი გამოწვეულია საქონლის არასწორი შენახვით;

დ) ნაკლი გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით;

ე) ნაკლი გამოწვეულია მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი არასწორი ზომების, ნახაზის ან ესკიზის გამო;

ვ) ნაკლი გამოწვეულია სხვა ისეთი ობიექტური გარემოებით, რაც გამორიცხავს მოვაჭრის ბრალეულობას ან პასუხისმგებლობას.

მუხლი 8. მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები

8.1. მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურება გაუწიოს.

8.2. მომხმარებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მოვაჭრეს უნდა განუსაზღვროს მომსახურების გაწევის/ნაკლის აღმოფხვრის გონივრული დამატებითი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

8.3. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს:

ა) მოვაჭრის ხარჯით მომსახურების გაწევა ან ნაკლის აღმოფხვრა სხვა პირს შესთავაზოს;

ბ) მოითხოვოს მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება;

გ) უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოთ ხსენებული დამატებითი ვადის განსაზღვრა სავალდებულო არ არის, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება, ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება მომსახურების დროულად მიღებას დაუკავშირა.

8.4. მომსახურების ნაკლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებით შეთანხმებული ტექნიკური პირობები, მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოს ფაქტობრივი შედეგი.

8.5. თუ ნაკლი გამოწვეულია კომპანიის მიერ არასწორად შესრულებული აზომვით, ჭრით, გადაკეთებით, დამუშავებით ან მონტაჟით, კომპანია ვალდებულია იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოს მომხმარებლის უფლებების დაცვა.

8.6. კომპანია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ დაქირავებული ან სხვა მესამე პირის მიერ შესრულებულ სამონტაჟო ან სხვა სახის სამუშაოზე. ასეთ შემთხვევაში, არასწორი/არასრული სამონტაჟო ან სხვა სახის სამუშაოთი გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

მუხლი 9. მომხმარებლის პრეტენზიები და მათი განხილვის წესი

9.1. მომხმარებელს უფლება აქვს, კომპანიის საქმიანობასთან, შეძენილ საქონელთან ან მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებული პრეტენზია წარადგინოს კომპანიის ნებისმიერ ფილიალში ან კომპანიის ცენტრალურ ადმინისტრაციაში (მისამართი: ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის ქუჩა N11).

9.2. პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს წერილობითი ფორმით, კომპანიის ელექტრონული ფოსტის (info@zodi.ge) საშუალებით ან ცხელი ხაზის (+995 322 35 80 00) მეშვეობით.

9.3. პრეტენზიაში უნდა მიეთითოს:

ა) მომხმარებლის სახელი და გვარი;

ბ) საკონტაქტო ინფორმაცია;

გ)შეძენილი საქონლის ან მიღებული მომსახურების დასახელება;

დ) შეძენის ან შეკვეთის თარიღი;

ე) პრეტენზიის არსი;

ვ)მომხმარებლის მოთხოვნა;

ზ) შესყიდვის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

9.4. კომპანია ვალდებულია მიიღოს და განიხილოს მომხმარებლის პრეტენზია კეთილსინდისიერად, ობიექტურად და გონივრულ ვადაში.

9.5. პრეტენზიის მიღების შემდეგ, კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი გარემოებების შესწავლას, საჭიროების შემთხვევაში, საქონლის ან შესრულებული სამუშაოს ადგილზე შემოწმებას და მომხმარებლისთვის დასაბუთებული პასუხის მიწოდებას.

9.6. პრეტენზიის განხილვა არ უნდა იქნეს გამოყენებული მომხმარებლის კანონით მინიჭებული უფლებების შეზღუდვის ან მათი განხორციელების გაჭიანურების მიზნით.

9.7. მომხმარებელს უფლება აქვს, დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართოს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს ან სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 10. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები

10.1. კომპანია მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კანონიერად, სამართლიანად და კონკრეტული, განსაზღვრული მიზნებისთვის.

10.2. მომხმარებლის მონაცემები შეიძლება დამუშავდეს შეკვეთის გაფორმების, ხელშეკრულების შესრულების, ანგარიშსწორების, მიწოდების, საგარანტიო მომსახურებისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნით.

10.3. კომპანია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.4. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები არ გამოიყენება სხვა მიზნებისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე სავაჭრო პოლიტიკა და მომხმარებლის უფლებების დაცვის წესები სავალდებულოა კომპანიის ყველა ფილიალისა და თანამშრომლისათვის.

11.2. დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კომპანიის დირექტორის გადაწყვეტილებით.

11.3. წინამდებარე სავაჭრო პოლიტიკა და მომხმარებლის უფლებების დაცვის წესები საჯაროდ ხელმისაწვდომია კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.zodi.ge). ამ დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაცია მიიღოს კომპანიის წარმომადგენლის, კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი სოციალური ქსელის ან ცხელი ხაზის (+995 322 35 80 00) მეშვეობით.

11.4. სავაჭრო პოლიტიკისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის წესების დებულებები განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.5. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე დებულების ბათილობა ან კანონთან შეუსაბამობა არ იწვევს დანარჩენი დებულებების ბათილობას.